პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მხედარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

**ხელის მოწერის პირობები:**
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით—90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ., 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის
კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

139 (1134) | კვირა, 25 ივლისი 1926 წ. | 139 (1134)

## პარტიო წითელ არმიელთა კონფერენციებისათვის

მეორე ქართულ დივიზიაში იწყო უპარტიო წითელ არმიელთა ფართე კონფერენციი.

ამ კონფერენციების ამოცანა ჯამი გაუკეთონ საზაფხულო სწავლებას და ნათელი წარმოდგენა მისცენ ჩვენ ცვალებადელებს მომავალ შეკრებ გარეშე მუშაობის შესახებ.

ამ კონფერენციებზე მონაწილეობას მიიღებენ ცვალებადელებს წითელ არმიელების ფართე მასები. ცხადია კონფერენციის ამოცანა ვერ დაესწრება. ჩვენ ამოცანას შეადგენს კი, რომ კონფერენციების თითეული დადგენილებებისა და მათი მუშაობის მთავარ მომენტებს გაგებული იყოს ყოველი ცვალებადელი, ამიტომაც კონფერენციაზე მონაწილე დელეგატებმა მართებთ მთელი თავის ყურადღებით და სერიოზულობით მოეპყრან ამ კონფერენციებში მუშაობას, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მათში და კარგად შეითვისონ ყველა ის დადგენილებები, რომ კონფერენციის დასკვნების შემდეგ სისწორით და ნათლად გადასცენ ყველაფერი თავის ამხანაგებს, რომლებიც ვერ დაესწრებიან კონფერენციის მუშაობას.

საკითხები, რომლებიც უნდა გაირჩეს ამ კონფერენციებზე ძალიან დიდი მნიშვნელობისაა. განსაკუთრებული ყურადღების იპყრობს საზაფხულო სწავლების შედეგებზე საკითხი და მზადება მომავალ ტერშეკრებისათვის.

კონფერენციებმა საფუძვლიანად უნდა გაარჩიონ ზაფხულში ჩატარებული სწავლების შედეგები. უნდა აღნიშნონ ყველა მიღწევები და აგრეთვე ნაკლოვანებებიც. ყოველივე ეს საჭიროა მომავალი მუშაობის ნაყოფიერობისათვის.

კონფერენციები ასეთივე ყურადღებით უნდა შეჩერდენ შეკრებათა გარეშე მუშაობაზე და განსაკუთრებით მომავალ ტერშეკრებისათვის მზადების საკითხზე. ამ მხრივ კონფერენციებმა სრული წარმოდგენა უნდა მისცენ ცვალებადელებს მათ მომავალი მზადების შესახებ. არ უნდა დარჩეს გაუგებარი ცვალებადელებისათვის არც ერთი მხარე მისი მომავალ მუშაობისა. ამ კონფერენციების შემდეგ წითელ ყაზარმიდან ცვალებადელები უნდა წავიდენ სავსებით გარკვეული მომავალ მუშაობის ამოცანებში.

ამიტომაც ვუსურვებთ ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობას მეორე დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციებს.

მათი მუშაობა კიდევ უფრო განმტკიცებს და გაღრმავებს ტერიტორიალშენებლობას საქართველოში.

## მსხვილ ბურჟუაზიის გამარჯვება საფრანგეთში

საფრანგეთში დიდი მნიშვნელობის ამბებს აქვს ადგილი. ამ ერთ კვირაში ორჯერ გამოიცვალა მთავრობა. ჯერ ბრიანის მთავრობა დაეცა. შესდგა ერიოს მთავრობა, მაგრამ არც ამ მთავრობას არ დასცლია ორი დღე. ისიც გადადგა. ახალ მთავრობას სათავეში მოექცა პუანკარე.

ვინ არის პუანკარე?

მსხვილი ბურჟუაზიის ცნობილი ერთგული მოსამსახურე. პუანკარეს მთავრობის სათავეში ჩადგომა ნიშნავს მას, რომ საფრანგეთის ბედიგბალს დაეპატრონა მსხვილი იმპერიალისტური ბურჟუაზია. პუანკარეს სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული გასულ იმპერიალისტურ ომთან. მას მეტ სახელად „პუანკარე—ომი“ უწოდეს. ის დაუძინებელი მტერია მუშათა კლასის და უერთგულესი მოსარჩლე მსხვილი კაპიტალის.

როგორ მოხდა, რომ ეს მსხვილი, იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენელი კვლავ დაეუფლა მართველობის საქმეს?

ეს შედეგია ეგრედ წოდებული „მემარცხენე ბლოკის“ უილაჯო მერყეობული პოლიტიკისა.

1924 წელში 11 მაისს საფრანგეთში დაეცა პუანკარეს მთავრობა, რაც გამოწვეული იყო საპარლამენტო არჩევნების შედეგებით. ხელისუფლების ხელმძღვანელობა ხელში ჩაუვარდათ „მემარცხენე ბლოკის“ პარტიებს.

„მემარცხენე ბლოკში“ შედიან საფრანგეთის საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის პარტიები. აი ამ მემარცხენე ბლოკმა იკისრა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა და აღუთქვა ხალხს, რომ ის განამტკიცებს საფრანგეთის ფულის კურსს სხვა და სხვა რეფორმებით გააუმჯობესებს მოსახლეობის ფართო მასების მატერიალურ მდგომარეობას და სხვა.

მემარცხენე ბლოკის პირველი მთავრობა შესდგა ცნობილი ერიოს მეთაურობით. მაგრამ „მემარცხენე ბლოკმა ვერ შეასრულა ვერც ერთი დაპირება. ის გამოდგა ყოვლად უსუსური მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით მისდაუნებლიეთ „მემარცხენე ბლოკი“ ატარებდა პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელი იყო საფრანგეთის მსხვილი კაპიტალისტებისათვის. მაროკოს ომი და სირიის სისხლის ღვრა—აი საუკეთესო დამამტკიცებელი ფაქტები იმისი, რომ „მემარცხენე ბლოკის“ მთავრობები სინამდვილეში აწარმოებდენ ყაჩაღურ, იმპერიალისტურ პოლიტიკას.

ცხადია ერიომ და მისმა თანამოძმეებმა ვერც დაავადებულ ფრანკს უშველეს. მათ ვერ შესძლეს მსხვილი კაპიტალის დაბეგვრა. სამაგიეროდ ფინანსიური კრიზისის სიმძიმე მშრომელთა ზურგზე გადაიტანეს.

ასე ემსახურეს ორ წელზე მეტი „მემარცხენე ბლოკის“ პარტიებმა საფრანგეთის მსხვილ კაპიტალს.

და დღეს თავისი ხანმოკლე „სამარცხვინო მოღვაწეობის შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელობა ისევ მსხვილი კაპიტალის პარტიებს ჩააბარეს.

პირველი მინისტრის პორთფელი ერიომ ისევ პუანკარეს დაუბრუნა.

ამით ერთხელ და სამუდამოთ ნათელი გახდა საფრანგეთის მშრომელთათვის „მემარცხენე ბლოკის“ პარტიების მთელი გამცემლური და ძვალ რბილა ბუნება. საფრანგეთის მუშები და გლეხები ამიერიდან შეიგნებენ, რომ გაჭივრებისაგან და კაპიტალის მონობისაგან მათ ვერ იხსნიან ძვალ რბილა ერიო და გამცემ რენოდელები და ბონკურები.

პუანკარეს მოქცევა სახელმწიფოს სათავეში ნიშნავს საფრანგეთის ბურჟუაზიის ახალ, უფრო თავხედურ და სასტიკი შეტევის დაწყებას საფრანგეთის მშრომელთა წინააღმდეგ.

საფრანგეთის პროლეტარიატი და გლეხობა დიდი საფრთხის წინაშე დგას. ერთად ერთი გამოსავალი გზა ამ ხიფათისაგან—არის კომპარტიის გარშემო თავისი რიგების დარაზმვა და შეურიგებელი გადამჭრელი ბრძოლა შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ.

— ე.

# ამხანაგ ძერჟინსკის დასაფლავება

## ფ. ე. ძერჟინსკის დასაფლავება.

**სამგლოვიარო სიტყვები**

23 ივლისს მოსკოვის პროლეტარიატმა დაასაფლავა ფელიქს ედმუნდისძე ძერჟინსკი.

წითელი არმიის სახელით დასაფლავების წინ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ვოროშილოვმა**.

— ძერჟინსკი იყო არა მარტო დიდი ორგანიზატორი — განაცხადა მან — არა მარტო სოციალიზმის ნიჭიერი მშენებელი, არამედ ის იყო ფხიზელი თვალი ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის, თვალი, რომელიც ფხიზლად იყურებოდა ყოველმხრივ, რათა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებს მოულოდნელად არ დასხმოდა თავს მტერი. ის დაუღალავად სდარაჯობდა, რათა ჩვენს სახელმწიფოს არ დასხმოდა თავს მტერი, როგორც გარედან ისე შიგნიდან.

მთელ რიგ წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ დაიწყო მუშებისა და წითელ არმიელების სამგლოვიარო მსვლელობა სამარესთან.

სსრკ-ს მთავრობის სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიკოვმა.

— მთავრობამ — განაცხადა მან — დაჰკარგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე. სახელმწიფოებრივ მუშაობის დარგში ამხ. ძერჟინსკი ყოველთვის იდგა უძნელესსა და უსაშიშროეს საგუშაგოზე. ძერჟინსკის მნიშვნელობა მდგომარეობდა არა მარტო იმაში, თუ რა თანამდებობები ეჭირა მას და როგორის დიდი წარმატებით მუშაობდა, არამედ უმთავრესად მასში, რომ ის განუწყვეტლივ იწვოდა ხალხისადმი სიყვარულის ცეცხლით, მუშებისადმი სიყვარულითა და სიძულვილით ყოველგვარ უსამართლობისადმი. გარდაიცვალა ამხ. ფელიქსი. ამხ. ძერჟინსკი ლენინის საუკეთესო მოწაფე იყო და მის სიცოცხლისა და მუშაობის მაგალითზე უნდა ისწავლოს ახალმა თაობამ.

## მოსკოვის საბჭოს სამგლოვიარო სხდომა

ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართა მოსკოვის საბჭოს სხდომა.

იგი გახსნა სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა, რომელმაც განაცხადა:

„უკანასკნელ ხანებში ეს არაა პირველი სამგლოვიარო სხდომა. ამხ. ძერჟინსკის სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენი პარტიისათვის. ამხ. ძერჟინსკი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც არ დავიწყდება ისტორიას. ამხ. ძერჟინსკისთვის არ ყოფილა საკითხი პარტიულ დისციპლინის შესახებ. მახსოვს—ამბობს ამხ. რიკოვი—ერთხელ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომლის დროსაც ვიღამაც ასე დააყენა საკითხი: რა იქნება, რომ ვინმემ პარტიის წევრთაგან ცხოვრებაში რაიმე გადაწყვეტილების გატარებისას დაარღვიოს პარტიის გადაწყვეტილება? ამ კითხვის შემდეგ ამხ. ძერჟინსკი წამოვარდა და დაიყვირა: „ეს იქნება ღალატი“. აი ანდერძი, რომელიც დაგვიტოვა ჩვენ განსვენებულმა. ძერჟინსკის ვერ წარმოედგინა პარტიულ დისციპლინის დარღვევის შესაძლებლობა“.

ამხ. რიკოვის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ბუხარინმა, რომელმაც აღნიშნა ძერჟინსკის მოღვაწეობა ტრანსპორტისა და მრეწველობის დარგში, აღნიშნა თუ რამდენი შეთქმულება იქნა აღმოჩენილი საგანგებო კომისიის მიერ, რომელსაც მეთაურობდა ამხ. ძერჟინსკი.

ჩვენი მუშაკები ცოცხლობენ ცოტახანს და გვშორდებიან ადრე, მაგრამ დეე, ეს ჩვენ ნუ გვაშინებს, ვინაიდან ისტორიის გაშმაგებული სრბოლა ჰბადებს მათ სამაგიეროდ ათობით ახალ მუშაკებს.

ბუხარინის შემდეგ ილაპარაკა უკრაინის ცაკის თავმჯდომარემ პეტროვსკიმ, რომელმაც გაუზიარა დამსწრეთ მოგონებები ძერჟინსკზე. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. იაროსლავსკიმ, უკრაინის გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ბალიცკიმ და სხვა.

## ამხ. გეშკე ტფილისში

ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. გეშკე.

გეშკეს ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა საქართველოს ყოფა-ცხოვრებასა და აღმშენებლობას. გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში გეშკემ განაცხადა: რომ გერმანიის მუშები ყოველთვის დაინტერესებული იყვნენ საბჭოთა კავშირის მუშების ცხოვრებით და დღეს მოუთმენლად მოელიან საბჭოთა კავშირისაც კერძოდ საქართველოს ამბებს.

შეეხო, რა გერმანიის მუშათა ცხოვრებას გეშკემ განაცხადა, რომ დაუსის გეგმამ მძიმე უღელი დაადგა გერმანიის მშრომელებს.

## პილსუდსკი ომისთვის ემზადება

პოლონეთის მთავრობა სამხედრო კავშირით შეეკრა რუმინეთს. ეს კავშირი მიმართულია ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ. მშრომელთა ფართო მასებში მღელვარებაა. მშრომელები შიშობენ, რომ დიქტატორი პილსუდსკი ახალ ომს მოახვევს თავზე პოლონეთს.

ამასთან ერთად პოლონეთის გენერალური შტაბი აწარმოებს სამხედრო მზადებას ლატვიის საზღვარზე. ლატვიის საზღვარზე თვით მოქმედი მრავლადენობის არიან რამოდენიმე ასეულმა ახალგაზრდობამ ოფიცრების მეთაურობით. ისინი განუწყვეტლივ აწარმოებენ ტაქტიკურ მეცადინეობას. ასეთივე რაზმები იკრიბება სხვა სანაპირო წერტებზეც.

პოლონეთის სამხედრო მზადება მიმართულია ლიტვის წინააღმდეგ.

# საბჭოთა საქართველოში.

### მატყლის დამზადება.

მატყლის დამზადების კამპანია დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

შემოდგომის კამპანიისათვის განზრახულია 65 ათასი ფუთი მატყლის დამზადება საქართველოში. განზრახულია აგრეთვე შემოდგომის მატყლზე ფასის 15 პროცენტით მეტის დაწესება, ვინემ გაზაფხულის მატყლზე.

### საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

ა. კ. რკინისგზების სამართველო აგებს ტფილისში საკუთარ შენობას საქარხნო საფაბრიკო სკოლისთვის, რომელიც ჯდება 600 ათასი მანეთი. შენობამ უნდა დაიტიოს 450 მოსწავლე. აქედან 120 იცხოვრებს სკოლასთან მოწყობილ შენობაში. შენობა დამთავრდება ორი წლის განმავლობაში.

### სარწყავი მინდორი ტირიფონის ველზე.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს საცდელი მინდორი შუაგულ ქართლში-ტირიფონის ველზე. ამ მიზნით გამოყოფილი იქნეს ტირიფონის ველზე სათანადო მიწის ნაკვეთი.

### ცემენტის (ჭიდას) ქარხანა

სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭომ გამოყო ინჟინერთა კომისია, რომელიც შეისწავლის კავთისხევში ცემენტის წარმოების პირობებს. ცემენტის ქარხნის მოწყობა უკვე გადაწყვეტილი აქვს საბჭოს.

### ნათესების მდგომარეობა

სტატისტიკური ცენტრალური სამმართველოს მიხედვით საქართველოში ნათესების მდგომარეობა წელს გაუმჯობესებულია. საერთოდ კი გასულ წლებთან შედარებით საშვალოა. წელს ვენახებიც კარგია. ხილის ბაღებიც რამოდენიმედ უკეთესია გასულ წელთან შედარებით.

### მიღება საავიაციო სკოლაში

საქართველოს ავიაქიმის თბილისის საბჭო უკვე შეუდგა საავიაციო სკოლაში შესვლის მსურველთა განცხადებების მიღებას. ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს ავიაქიმში კალოუბნის № 7.

### დახმარება ხევნებს.

ექიმ. ი. ასლანიშვილის საშვალებით, რომელიც მიემგზავრება სამეცნიერო მიზნით, საქართველოს წითელ ჯვარმა აფხაზეთ სისვანთა საჭიროებისათვის გადაგზავნა იქ დასარიგებლად წამლეულობა.

### მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 1-ლი აგვისტოდან დაიწყება თხოვნების მიღება და გაგრძელდება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები კი იწარმოებს 1-ლი სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებად საჭირო არ იქნება დაწესებულებიდან და ორგანიზაციებიდან მივლინების მოწმობები. განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს მიმღებ კომიის სახელზე.

# გრძელ ვადიან შვებულებაში დათხოვნა.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრკ-ს რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოსი

ქ. მოსკოვი № 367 13 ივლისი 1926 წ.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მიხედვით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის, გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოსა და მხლებელთა რაზმის ჯარების რიგებიდან გაშვებულ იქნას უვადო შვებულებაში ვადით მსახურ უმცროს მეთაურთა და ქვემო აღნიშნულ წლიანების მერიგე შემადგენლობა:

1) მ. გ. წ. ა., გაერთ. პოლიტ. სამმართველოსა და მხლებელთა რაზმის ნაწილებიდან, სამმართველოებიდან და დაწესებულებებიდან: ა) ორი წლის ვადით მსახურნი, დაბადებულები 1902 წელში—გაზაფხულზე გამოწვეულები და 1924 წლის—შემოდგომაზე გამოწვეულები. ბ) სამი წლის ვადით მსახურნი 1902 წელში დაბადებულები და 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეულები და გ) ერთი წლის ვადით მსახურნი—1925 წელში გამოწვეულები, რომლებიც იხდიან სამხედრო სამსახურს სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის 142—152 მუხ. წესით და რომელთაც ჩაუბარებიათ გამოცდები მუშურ-გლეხური წითელი არმიის თადარიგის მეთაურზე.

2) წითელი ფლოტიდან და გაერთ. პოლიტ. სამმართველოს საზღვაო სანაპირო რაზმიდან 4 წლის ვადით მსახურნი—გამოწვეულები 1923 წელში.

3) ვადამდე, სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის 36 მუხ. 1-ლი პუნქტის მიხედვით: ა) მერიგე შემადგენლობა 2 წლის ვადით მსახურნი—დაბადებულები 1903 წელში და გამოწვეულები 1925 წ., რომლებიც აღემატებიან (ვადის ზევით მსახური)] მათთან ერთად შტატის უმცროს მეთაურთა და მერიგე შემადგენლობის ნორმას: სსრკ-ს მ. გ. წ. არმიაში და მხლებელთა რაზმში—55 პროცენტი და გაერთიანებულ პოლიტ. სამმართველოში—გ. პ. ს—ს კოლეგიის განსაკუთრებული მითითებით; ბ) 1902 წ. დაბადებულ და 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულ სამი წლის ვადით. მსახურ პირთაგან— ყველა მჭედლები და გადამწერები.

4) ნაწილებიდან 2 წლის ვადით მსახურ მერიგე შემადგენლობის ვადამდე განთავისუფლება წარმოებულ იქნას შემდეგი თანამიმდევრობით: ა) 1902 და 1903 წ. წ. დაბადებულნი, რომლებიც შემოსულან არმიაში თავის ნებით 1925 წ. გაწვევამდე; ბ) 1903 წელში დაბადებულები, რომელთაც აქვთ მე-2 და მე-3 ხარისხის შეღავათების უფლება, მაგრამ სამსახურის განმავლობაში მომხდარ ოჯახურ ცვლილების აღურიცხავად, გ) დანარჩენი მერიგე შემადგენლობა იმ რიცხვიდან, რომელთაც გამოუჩენია საუკეთესო წარმატება სწავლასა და სამსახურში,—ოლქების სარდლობის შეხედულებით, ხოლო სანაპირო მცველ რაზმიდან და გაერთ. პოლიტ. სამმართველოს ჯარებიდან—გ. პ. ს. კოლეგიის მითითებით.

5) მ. გ. წ. არმიის ნაწილებიდან განთავისუფლება დაიწყოს 10 სექტემბრიდან და დასრულდეს 1926 წ. 15 დეკემბრამდი, რაც უნდა სწარმოებდეს სამ რიგად, თანახმად კავშირის რევსამხსაბჭოს დირექტივისა 1926 წლის 28 მაისიდან № 89073-c.

6) წითელი ფლოტიდან განთავისუფლება დასრულდეს ა.წ. 1-ლ ნოემბრისთვის.

7) მხლებელთა რაზმიდან განთავისუფლება დამთავრებულ იქნას ა.წ. 1-ლ დეკემბრისთვის.

8) გაერთიანებულ პოლიტ. სამმართველოს ჯარებიდან წარმოებულ იქნას: ა) შინა ნაწილებიდან—1927 წლის 1-ლ იანვრისთვის და ბ) სანაპიროს მცველ ნაწილებიდან—1927 წ. 15 მარტისთვის.

9) სკპ (ბ) და საკავშირო ლენინურ ახკომკავშირის წევრები გათავისუფლებულ იქნას საერთო წესით მათ ჰასაკიანებთან ზემოაღნიშნულ ვადებში.

10) ვადით მსახურნი, რომლებსაც ეხებათ განთავისუფლება და იმყოფებიან ავადმყოფობის გამო შვებულებაში და სააქიმოდ ჰოსპიტლებში, რომლებიც იმყოფებიან თავიანთ ნაწილების მოთავსების გარეშე, ნაწილებში არ იქნან დაბრუნებულნი, არამედ—უშუალოდ გაშვებულნი ჰოსპიტლებიდან ან შვებულებაში სამყოფ ადგილებიდან, სამაზრო სამხ· კომისრების განკარგულებით, თანახმად სსრკ-ს რევსამხსაბჭოს დირექტივისა № 89072-c.

11) გათავისუფლება სწარმოებდეს გასათავისუფლებელთა გაწვევის ადგილების, ან მათ მიერ არჩეულ სამყოფ ადგილების მიხედვით, უკანასკნელ შემთხვევაში, სანაპირო ზოლისა და ადგილების გამოკლებით, რომლებიც ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის რევსამხსაბჭოს დირექტივაში № 89072-c.

12) მ. გ. წ. არმიის მომარაგების უფროსმა მისცეს მითითება გათავისუფლებულთა მომარაგების შესახებ დადგენილ კმაყოფის ყველა სახეებით.

13) მ. გ. წ. არმიის შტაბის სამხედრო მიმოსვლათა სამმართველოს უფროსმა, მ. გ. წ. არმიის მომარაგების უფროსთან ერთად მოაწყოს გათავისუფლებულთა კმაყოფა გზაში.

14) მ. გ. წ. არმიის პოლიტ. სამმართველოს უფროსმა მოაწყოს პოლიტიკურ საგანმანათლებლო სამსახური, როგორც მ. გ. წ. არმიიდან, ისე გაერთიანებულ პოლიტსამმართველოს ჯარებიდან გათავისუფლებულთა მიმართ.

15) სამხედრო ოლქების სარდლობამ გათავისუფლების ჩატარებისას მიიღოს ზომები, რათა გეგმიანად ჩატარდეს გადაყვანა და უზრუნველყოს გათავისუფლებულთა კმაყოფის საქმე გზაში.

16) ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულებში, გუნდებში, ესკადრონებში, ბატარეებში, რაზმებში. გემებზე და დივიზიონებში·

სსრკ-ს სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და რევსამხსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**უნშლიხტი.**

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## დაუახლოვდით გლეხებს.

### ქართ სამხ პოლიტ სკოლის კომუჯრედი.

ამჟამათ ბანაკის პერიოდში ჩვენი კომუჯრედი აწარმოებდა გაცხოველებულ მუშაობას. გეგმა, რომელიც გამომუშავებულია საზაფხულო მუშაობისათვის უცვლელად ტარდება ცხოვრებაში და არავითარ დამაბრკოლებელ მიზეზებს ადგილი არ აქვს. ყოველ მორიგ კრებებზე კეთდება სხვადასხვა თემაზედ მოხსენებები და ირჩევა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები.

ამას წინად მოწვეულიყო ჩვენი, აზერბეიჯანის და სომხეთის სკოლის კომუჯრედების გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენება გაგვიკეთა ადგილობრივი რაიკომის მდივანმა თავის მუშაობის შესახებ და გაგვაცნო ვრცლათ აქაური მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრება.

მთავარი ძარღვი ჩვენი საზაფხულო მუშაობის შეიძლება დავაყრდნოთ სოფლათ მიმაგრებულ ამხანაგების მუშაობას. კომუჯრედს გამოყოფილი ყავს ამხანაგები და მიმაგრებული სოფლის უჯრედებზე. პარტიული კრებების გარდა ხშირათ ეწყობა აგრეთვე სოფლებში საბჭოების და გლეხობის გაერთიანებული კრებები, სადაც მოხსენებებს ჩვენი უჯრედიდან მიმაგრებული ამხანაგები აკეთებენ. ადგილობრივი გლეხები ძლიერ ჩამორჩენილი არიან განათლებას.

ამიტომ ქართულ სამხ. პოლიტსკოლის მიერ მიმაგრებულ ამხანაგების ხელმძღვანელობით სწარმოებს პოლიტიკური საგანმანათლებლო მუშაობა.

მ. საწი ელი

# ჩვენი პარტსკოლის მეცადინეობის შედეგები.

### ცხენ ლეგიონი.

თითქმის ცხრა თვეზე მეტია, რაც ჩვენს ლეგიონში დაარსდა პირველ და მეორე საფეხურის პარტ სკოლები, როგორც პარტიის წევრების და კანდიდატების, ისე კომკავშირის წევრების მოსამზადებლად. სკოლები მთელი ამ ხნის განმავლობაშიდ აწარმოებდენ სისტემატიურ მეცადინეობას და გავდიოდით იმ პროგრამას რაც მოცემული იყო პოლიტგანყოფილების მიერ.

ამხანაგების სამეცადინოდ გამოყოფილი იქნენ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომელებმაც ენერგიულად მოკიდეს მუშაობას ხელი და ამ მხრივ მიზანიც მიღწეული იქნა.

ივლისის პირველ რიცხვებში უკვე დამთავრებული იქმნა სამეცადინო პროგრამა და მოხდა გამოცდები განვლილის შეთვისების შესაფასებლად.

გამოყოფილი იქნენ გამოცდებისათვის სათანადოთ მომზადებული ამხანაგები და უკვე შედეგებიც გამორკვეულია.

საერთოდ ამხანაგების მომზადება განვლილ პროგრამის მიხედვით საშუალოზე უკეთესია. მხოლოდ თვით პროგრამას რომლის მიხედვით ვსწავლობდით, საჭიროა მიექცეს მომავლისათვის სათანადო ყურადღება და მომავლისთვის შევსებული იქნეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხებით, რომლებიც წელს არ იყვნენ მასში შეტანილი.

ასეთები არიან: ქალთა საკითხი, პიონერთა ორგანიზაცია და სხვა.

**ზენობნელი.**

# სამხედრო საქმე განავში.

## ისწავლე სროლა მტრის წინააღმდეგ

მეომარი სწავლობს სროლის საქმეს თანდათანობით—დაწყებული დამიზნებით დაზგიდან და გათავებული სროლით მოძრავ სანიშნოებზე ტაქტიკური მეცადინეობის დროს. ასეთი სწავლების მიზანია მოამზადოს მეომარი კარგი სროლისათვის ბრძოლაში.

თუმცა მეომრები სწავლების დასასრულ გადიან პრაქტიკულ სროლას ტაქტიკურ მეცადინეობებზე, მაგრამ ასეთი მეცადინეობა მაინც დიდად განსხვავდება ნამდვილ საბრძოლო გარემოებისაგან.

ყველა არმიები სწავლობენ შენიღბვას, ადგილმდებარეობასთან შეხამებას, აუმჯობესებენ შენიღბვის საშვალებებს, ტანკების წყობასა და სხვა და სხვა.

თვით საბრძოლო ტაქტიკაც შენდება იმ მტრის განადგურების მიზნით ისე, რომ თვითონ ნაკლები ზარალი განიცადო. სხვადასხვანაირად რომ ვსთქვათ უნდა დახელოვნდეს ისე, რომ მტერს დაუმალო შენი განზრახვა, მოქმედება და ამით აიშორო ზედმეტი მსხვრეპლი.

მაშასადამე მტრის დამარცხება მარჯვე ტყვიით, თუნ კარგადაც იცოდე სროლა, მეტად ძნელია.

მსროლელებს დახმარებას უწევს ცეცხლის მანევრები. ეს იმას ნიშნავს, რომ იხმარო ერთგვარი ხერხი, რათა აიძულო მტერი მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება.

მაგალითად მტერს შეუძლია გადაუნაცვლოს ტყვიამფრქვევს, რომელიც კარგად შენიღბული დ[...] დაფარულია.

მაგრამ, თუ გეცოდინება მის[...] სამყოფი ადგილი, შეიძლება თავი[...] ძლიერი ცეცხლის გახსნით საშვა[...]ლება არ მისცე მტრის ტყვიამ[...]რქვევებს გამოიცვალონ ადგილ[...]

მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ც[...]ცხლისა, თუ ტყვიამფრქვევ[...] მოიხსნა, ერთად ერთი გზაა—და[...] ამარცხო ისინი მარჯვე ცეცხლი[...]

ისინი მოდიან ადრიანად გამზა[...]დებულ პოზიციაზე და ცდილობ[...] ნაკლებად გვეჩვენონ.

აი აქ არის საჭირო თვითეულ[...] მეომრის განსაკუთრებული სიფხ[...]ზლე, რომ მტრის ტყვიამფრქვევ[...] ადგილიდან დაძვრისთანავე აიღო[...] მიზანში და შემუსროს ის.

საბრძოლო გარემოება მოით[...]ხოვს თვითეული მეომრისაგან სხ[...] პირობების დაცვასაც: ეს არ[...] უმთავრესად შენიღბვა.

ყველაფერი ამის შესრულე[...] მსროლელს შეუძლია მხოლოდ დ[...]დი ვარჯიშისა და მეცადინეობ[...] შემდეგ, საბრძოლო პრაქტიკაზ[...] ტაქტიკურ მეცადინეობის დრო[...]

შევსძლოთ ჩვენი მოქმედე[...] შეთანხმება და მტრის შემუსვ[...] —აი რა უნდა ვისწავლოთ ჩვ[...] ზაფხულის ბოლომდის.

პ—ი.

# ასეულის სწავლება

ზაფხულის დასაწყისში ნაწილებში დაწყებულ იქნა ოცეულების სწავლება. თვითეულ მსროლელს უნდა აესრულებია არა მარტო თავისი და თავის ათეულის მუშაობა, არამედ უნდა გაეგო—როგორ და რით უნდა აესრულებია თავისი ოცეულის ამოცანა, როდის და რით უნდა მიხმარებოდა მეზობელ ოცეულებს.

აი ეს ამოცანა უნდა დასრულებულიყო ასეულის სწავლების დასაწყისისთვის, რათა ასეულის უფროსი დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ დასახული ამოცანები გაგებულ და ასრულებულ იქნებოდა ოცეულების მიერ.

ასეულის მომზადებას მთლიანად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეთაურთა შემადგენლობის, ისე თვითეულ მეომრისათვის ცალკე.

ასეულმა რომ კარგად შესძლოს მუშაობა, ასეულისა და ოცეულების უფროსებს შორის უნდა იყოს სრული ურთიერთ გაგება.

ასეულის მთელ შემადგენლობას (წითელ არმიელებსა და მეთაურებს) უნდა ჰქონდეთ ერთი მისწრაფება—აასრულონ დასახული ამოცანა. ასეულის მოქმედებისას საბრძოლო გარემოებაში გამოყენებულ იქნება ყველა ცეცხლმტყორცნი იარაღები—პირადი და ჯგუფური.

გარდა ამისა ასეულს მიეცემა ლეგიონის ქვემეხი, მესანგრე შემნიღბავი ნაწილები, ანტაირები, ტანკები, ჯავშხოსხები და სხვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოცეულებსა და სხვაგვარი იარაღებ[...] მცირე ნაწილებს შორის მიღწეუ[...] უნდა იქნას სრული ურთიერთმ[...]ქმედება.

იმავე დრო'ს ასეულის მთელ[...] შემადგენლობა ეცნობა სხვაგვარ[...] ჯარების საბრძოლო თვისებებ[...]

ასეულის სწავლების დროს მე[...]მრები ეჩვევიან თუ როგორ დ[...]კავონ მჭიდრო კავშირი ნაწილ[...]ბმა, რაც განსაკუთრებით მნიშვნ[...]ლოვანია, ვინაიდან ასეულს, მა[...] მოგერიების დროს უჭირავს რა[...]ონი 500—დან 1000 მეტრამდ[...] ფრონტითა და სიღრმით. კავში[...]რის გაწყვეტის შემთხვევისთვ[...] ოცეულის უფროსებმა უნდა შე[...]სწავლონ და შეეჩვიონ გადაწყვე[...]ტილებების დამოუკიდებლად მ[...]ღებას, რათა აასრულონ ასეულ[...] ამოცანა. ამიტომ ასეულის სწა[...]ლებაზე მეთაურთა შემადგენლო[...] ხელოვნდება სწრაფად მიიღოს გ[...] დაწყვეტილება და აასრულოს [...] მის განკარგულებაში მყოფ ძალ[...]ბითა და საშვალებით.

აქედან ცხადია, თუ რა დი[...] ამოცანები უნდა იქნას გადაჭრ[...]ლი ასეულის სწავლების დრო[...]

მაგრამ ეს ადვილი შესაძლებ[...]ლია, თუ რომ თვითეულ მეომა[...] მტკიცედ ეცოდინება თავისი მ[...]ვალეობა და მისი სწრაფად ასრ[...]ლება ათეულისა და ოცეულ[...] ფარგლებში. ასეულის სწავლებ[...] დროს თვითეული მეომრის თვა[...]თახედვა ფართოვდება და ღრმა[...]დება.

ა. მ—ი.

# ქიმიის როლი სასოფლო მეურნეობაში.

ზაფხულის განმავლობაში ყოველი გლეხი ხვდება თავის ამა თუ იმ მავნებელს, რომელიც სასტიკად ანადგურებს ბოსტნეულს, მაგრამ თვით გლეხმა უბრალო ზომაც კი არ იცის ხშირად მავნებლების წინააღმდეგ—საბრძოლველად.

ბევრი ბოსტანი კი თვით პატრონის მეოხებით მავნებლების გამავრცელებელს წარმოადგენს. ამის მიზეზია ის რომ, ზოგიერთი არ აქცევს ყურადღებას ბოსტნის გაწმენდას უსარგებლო, ზედმეტ ბალახებისაგან, რომლებიც ახშობენ ბოსტნეულს და საბუდარს წარმოადგენენ მავნებლებისთვის. აქედან ცხადია, რომ ზაფხულობით აუცილებლად გაწმენდილ უნდა იქნას ბოსტანი მავნე მცენარეებისაგან.

გარდა ამისა უნდა დაუკვირდეს ბოსტნეულს და ყველი მავნებლებით დაზიანებული და დაავადებული ბოსტნეული მოშორებულ უნდა იქნას.

ბრძოლის ეს საშუალება საერთოა ყველა მავნებლების წინააღმდეგ.

**ბრძოლა წვრილი მწერების წინააღმდეგ.**

წვრილი მწერების (მიწის ტილების) წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი: 1. მცენარეებზე შეფრქვევა თამბაქოს მტვერის, ნაცრის, გზის მტვერის, 2) დარიშხანის შემადგენლობის შესხურება და სხვა.

**ბრძოლა ბოსტნის მატლის წინააღმდეგ.**

ეს მატლი წარმოსდგება ერთი პეპელასაგან. ეს არის მოზრდილი, დღის პეპელა, მოთეთრო ფერის შავი ფერ ჯებით ფრთებზე.

ფრინავს ის ჩვეულებრივად ბოსტნებში გაზაფხულიდან. ბოსტნეულზე ის სდებს კვერცხებს 200-მდი, ხშირად ფოთლების ქვეშა მხრიდან.

ხუთი—რვა დღის შემდეგ კვერცხებიდან იჩეკებიან მატლები, რომლებიც მალე იწყებენ ხოხვას.

აი სწორედ ეს მატლები უსაშინელეს მტრებს წარმოადგენენ კომბოსტოსთვის. ესენი მეტად გაუმაძღრები არიან და ერთბაშად ანადგურებენ ფოთლებს.

ბრძოლის საშუალება შემდეგია:

1) კვერცხებისა და მატლების განადგურება (უმჯობესი და ადვილიცაა მანამ, სანამ მატლები გაცოცდებიან სხვა და სხვა მხრივ გამოჩეკის შემდეგ) მათი განადგურება შეიძლება ხელით მოსრესით, რაც განმეორებულ უნდა იქნას ყოველ კვირაში. 2) უნდა დააყარო ახალ გამოჩენილ მატლებს განელებულ კირის ფხვნილი. 3) ბრძოლის მეტად საუკეთესო საშვალებაა კირისა და მარილის ნარევის ხსნილი, რომლითაც უნდა მოასხურო მატლებს.

ხსნილი მზადდება შემდეგნაირად:

აიღებენ ორ წილ კირს, 3 წილ მარილსა და 100 წილ წყალს და აურევენ. (მაგალითად: 2 გირვანქა კირი, 3 გირ. მარილი და 100 გირვანქა წყალი). 4. პარიზის მწვანეულით მოსხურება. ყოველ ცალკე შემთხვევაში ავიაქიმის უჯრედებმა უნდა მიმართონ რჩევისთვის თავის უბნის აგრონომს, რომელიც ყოველთვის მისცემს ამომწურავ პასუხს მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

ა. ქ.

# მდინარეებზე გადასვლა

ისეთი მდინარეები, რომელთაც ფონი არ აქვთ და ფეხით გადასვლა არ შეძლება სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს შეტევაში.

მაგრამ ისტორიას მაინც არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ შეტევაზე გადასული ჯარები გაჩერებულიყოს მდინარის ზღვარზე.

ისეთი მდინარეები, როგორიცაა რიონი, მტკვარი და სუფსა ძნელი გადასავალია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც სძლევდა შეტევაზე გადასული მხარე, თუმცა ხშირად დიდ ზარალსაც განიცდიდა.

როგორი საშვალებები არსებობენ ასეთ ბუნებრივ დაბრკოლებების გადალახვისათვის, ე. ი. მდინარეზე გადასვლისათვის?

პირველ-ყოვლისა გადასვლის ადგილი არ უნდა იცოდეს მტერმა.

მეორედ ამ ადგილზე ჩქარა და შეუმჩნევლად უნდა იქნას მოტანილი მდინარეზე გადასავალი საშვალებანი და ბოლოს, ჯარების გადასვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა.

გადასვლის საშვალებებია: 1) ჩვეულებრივი და ბონდის ნავები, 2) ტივები და ბორნები, 3) ხიდ[...]ბი ბუშტებზე, ბოძებზე, და სხ[...]

გარდა ამისა შეტევაზე გადასუ[...] ჯარებს შეუძლიათ კიდევ ისარგ[...]ბლონ მუდმივი ხიდებით, რომლ[...]ბის განადგურებას ვერ ასწრე[...] უკან დახეული ჯარები.

ძნელია გადასვლა ხიდებზე, [...] რომ მათი აგება დიდხანს გრძე[...]დება.

ამიტომ სხვა და სხვა ტიპის ხ[...]დის აგების დროს თავიდათავ[...] პირობა სიჩქარეა, თუ რომ გად[...]სვლის საშვალებები ადრიანად[...] მოტანილი გადასავალ ადგილზ[...] მდინარეზე საშუალო სიგანის ხ[...]დის აგებამ არ უნდა მოინდომ[...] ნახევარ საათზე მეტი.

რომ მოპირდაპირის ყურადღე[...] დააბნიო და არ მისცე საშვალე[...] გადასავალ ადგლის გაგების, [...] შემთხვევაში ჩვეულებრივად ხ[...]დება დემონსტრაცია, ე. ი. გ[...]გებ სწარმოებს მოსამზადებე[...] მუშაობა ისეთ ადგილზე გადას[...]ლისთვის, სადაც გადასვლა არ[...] განზრახული.

ა. პ—ნი.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში

## ...მზადებით ახალი შეკრებისათვის

**მე 6 ლეგ. 5 ასეული.**

ასეულის ძირედი შემადგენლობა უკვე შეუდგა თავისი რწმუ...ბულების საშვალებით სოფლებში 1900, 1901 და 1902 წლებში ...აბადებულთა გამოწვევის კამპანიების ჩატარებისათვის სამზადისს. ...ამპანიებში დიდ დახმარებას გაგვიწევენ ის ცვალემადელები, რომ...ლებმაც გაიარეს წელს ერთ თვიანი შეკრება. ამისათვისაც სწარ...ოებს მათში სათანადო აგიტაცია და დავალებებიც კი მიეცათ ნა...ილებიდან გაშვების შემდეგ.

ასეულს იმედი აქვს, რომ მომავალი გამოწვევისათვის სამზა...ისი მთელი ასი პროცენტით შეასრულებიებს დავალებულ საქმეს.

**მეფარიშვილი.**

## ...ენკუთხე წარმატებით მუშაობს.

**მე-6 ლეგ. საკავშ. ოცეული.**

ოცეულში თავიდანვე იქნა დაარსებული ლენინის კუთხე, რო...ელიც მშვენივრად იქნა მოწყობილი. ასეულის ბიბლიოთეკარმა მიი... წინასწარ დამზადებული მოძრავი ბიბლიოთეკა მრავალი სხვადა...სხვა შინაარსის წიგნებით, რომელიც მოთავსებული იქნა ლენკუთ...ეში. აქვე შემოღებული იქნა მკითხველთა აზრის რვეული, კითხვა...პასუხის ყუთი და სხვა საჭირო მასალები. დიდ აქტიობას იჩენენ ...უთხეში ტერარმიელები. ყველანი ჩაბმული არიან წიგნების კითხვა...ში, რომელსაც უჭირს კითხვა ის ისმენს ხმამაღალ კითხვას. ამ ჟა...მად ლენკუთხეში მკითხველთა რიცხვი აღწევს მთელი შემადგენლო...ბის 80-მდე· გვყავს ისეთი მკითხველებიც, რომლებიც თვითვე სწო...ვენ ლენკუთხის სამკითხველოს სხვა და სხვა წიგნებს. ერთმა ამხ. ...რიგორიანმა შემოსწირი მას 50 ცალი სხვა და სხვა შინაარსის წი...გნები.

**ვ. ჰიჭინაძე.**

## დეზერტირების გასამართლება.

**მეორე არტლეგი 6ი.**

(შთაბეჭდილება).

...კლუბის დარბაზი გაჭედილია ...წ. არმიელებით და მეთაურებით. ...მოუთმენლად მოელიან ტრი...ბუნალის გახსნას და ბრალდებუ...ლების წარდგენას მის წინაშე.

გასამართლებულ უნდა იქნას ...დეზერტირები.

აგერ ზარის ხმაც გაისმა.

დარბაზში შემოიყვანეს ბრალ...დებულები.

მოყურადენი აწყდებიან ტუსა...ღებს. ყველას უნდა დაინახოს მა...თი სახე.

დარბაზში მღელვარებაა. წ. არ...მიელებს უკვე წარმოუდგენიათ ...ტუსაღები მოღალატეებათ და თა...ვის გულში არ ამართლებენ.

ისინი წინ მიიწევენ და უნდა ...თვითეულმა განცალკავებით ჩახე...დოს სახეში დეზერტირებს და აგ...რძნობინოს, რომ ასეთი მოქმედება ...პატიოსან მოქალაქესა და მშრო...მელ ადამიანის მხრივ არ არის ...დასაშვები და რომ მთელი წ. ჯა...რის შვილები მათზე ზიზღს გამო...სთქვამენ.

თავმჯდომარე ხსნის ტრიბუნა...ლის სხდომას.

საბრალმდებლო სკამზე სხედან ...ქ. ტყეშელაშვილი, ზაქარიაძე, გა...მრიკაშვილი, ტყეშელაშვილი, ჭო...ლაძე, ჯიშკარიანი და სხვა.

ბრალდებათ მოკლე ვადიან შე...კრებაზე გამოუცხადებლობა.

ყველა ბრალდებულებმა, გარდა ...ერთისა (ჭოლაძე) თავი სცნეს და...მნაშავეთ და სთხოვეს ტრიბუნალს ...მოტევება პირველი შეცდომისა.

მოქ. ჭოლაძემ წარმოადგინა მო...წმობა სათანადო, შეკრების დროს ...მისი აპერაციის გაკეთებაზე.

ტრიბუნალი გადის განაჩენზე.

დარბაზს ისევ მღელვარება და...ეტყო.

პატიმრები უკვე გრძნობენ, რომ მათ თავისი ამხანაგები ზიზღის თვალით შესცქერიან.

ისინი ეხლა უკვე ნატრობენ ჩვენს გვერდში ყოფნას, მაგრამ გვიანღაა. მათ უკვე ჩაიდინეს დანაშაული მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, მშრომელი ხალხი, ოჯახის, მეგობარ—ამხანაგების და ნაცნობ-ნათესავების წინაშე.

უკვე მესამე ზარია. ტრიბუნალის თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი განაჩენი:

ტყეშელაშვილს, ზაქარიაძეს, ტყეშელაშვილს და ჯიშკარიანს მიესაჯა ორ-ორი თვე თავისუფლების ალკვეთა გამასწორებელ სახლში წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. ხოლო გამრიკაშვილს სხვა და სხვა მდგომარეობის გამო-ერთი თვე. ბრალდებული ჭოლაძე განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან. ბრალდებულ მელქაძეს მიესაჯა ერთი თვე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით, ჭიჭინაძეს —25 დღე, ხოლო ვაშაკიძეს 1 ნახ. თვე.

ამის შემდეგ ტრიბუნალის სხდომა იხურება.

ტუსაღები გაჰყავთ.

დარბაზში წ. არმიელებს შორის კამათი იმართება გასამართლების ირგვლივ. ზოგი სასჯელს ცოტათ თვლის, ზოგი კი ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ეთანხმება. ამ ცხარე კამათს არღვევს სადილის ზარი.

**წ. არმ. გ. ჟღენტი.**

## პოლიტსაათი ნაყოფიერად ტარდება.

**1-ლი არტლეგ. 4 საგაუბ. ბატ რეა.**

ბატარეიაში ნაყოფიერად მიმდინარეობს პოლიტსაათები: წითელ არმიელთა დაინტერესება პოლიტგანათლებით ძლიერ უწყობს ხელს ამ გარემოებას. ყველას დიდი სურვილი აქვთ რაიმე შეიძინონ და ცოდნით აღჭურვილები დაუბრუნდენ თავის ოჯახებს.

„სოფელში რომ მივალთ ჩვენც უნდა შევქმნათ ჯგუფები და ვაწარმოოთ პოლიტსაათებიო“ ხშირად გაიგონებთ წითელი არმიელებისაგან.

ამ ჟამად თითქმის ყოველ დღე სწარმოებს პოლიტსაუბრები და მეცადინეობა. ეს წითელ არმიელთა სურვილით არის გამოწვეული. ისინი მოითხოვენ, რომ მეტი ცოდნა მიეღოთ სოფელში გამგზავრების წინ, რომ იქაც შესძლებოდათ წითელ ყაზარმაში მიღებული განვითარების გამოყენება და ფართო მასებისათვის თავისი ცოდნის გაზიარება.

**ა. ძაძამია**

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## ერთად ვიდღესასწაულეთ

**რუსულ მე-3 ლეგ. 8 წლის თავი.**

მოწმენდილი დილაა. ლეგიონის შემადგენლობა გაფაციცებით ემზადება: აწყობენ მაგიდებს, საჯდომებს; ვარდ-ყვავილებით რთავენ ლეგიონს. ლენკარვები საზეიმოდ გამოიყურებიან. უცებ სიჩუმეს არღვევს სასულე მუსიკის ხმა. ყველანი გაემართა კლუბისაკენ. მოეყარათ თავი სტუმრებს, ყველა ნაწილებიდან. აქ იყვნენ მარტყოფიდან ჩამოსული გლეხობა და გლეხი ქალები. მუსიკის ხმაში დასჭექა ერთმა. ყველა რაღაც სიჩუმემ შეიპყრო.

—ამხანაგებო! გაისმა მეორედ—დღეს ჩვენმა ლეგიონმა უნდა აღნიშნოს მისი არსებობის 8 წლის თავი. მუსიკის გრიალმა შეაწყვეტინა სიტყვა.— ვაშა! ურა! კეცე! ისმოდა ყოველ მხრიდან. . . საზეიმო სხდომაზე გამოდიოდენ სიტყვებით რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ნაწილების წარმომადგენლები, რომლებიც აცნობდენ დამსწრეთ ლეგიონის 8 წ. თავის მნიშვნელობას, წრფელი სალამით მიმართავდენ ლეგიონს, რომელსაც მრავალი ბრწყინვალე გამარჯვება განუცდია სამოქალაქო ბრძოლებში.

მისალმებით გამოდიოდენ გლეხებიც, რომლებიც აღნიშნავდენ წითელი ჯარების დამსახურებას მშრომელთა კეთილდღეობისათვის და აღუთქვამდენ ყოველმხრივ დაეხმარონ წითელ არმიას, როგორც მშრომელთა ინტერესების ღირსეულ დარაჯს.

11 საათზე საზეიმო სხდომა დაიხურა. შემდეგ გაიმართა გასართობები—ცეკვა, სიმღერა, სიმებიანი ორკესტრი და სხვა.

—აბა დოლი, დაიძახა ერთმა გლეხმა და ცხენის ავშრით ხელში დაუარა წრეში. მას აჰყვა რამოდენიმე წითელ არმიელი და გაცხოველდა ცეკვა-თამაში.

მოატანა 12 საათმა. ყველა ჯგუფებად დაიყო და გაიმართა სადილი. უფპოლიტშემადგენლობა ხალისიანად უმასპინძლდებოდა სტუმრებსა და გლეხობას. სადილის შიმდეგ კვლივ გაიმართა თამაში, მხიარულებამ გასტანა 5 საათამდის. 5 საათიდან დაიწყო სხვადასხვაგვარი სასპორტო ვარჯიში. დარიგებულ იქნა გამარჯვებულებზე საჩუქრები. შეჯიბრის შენდეგ ლეგიონი მოეწყო, გლეხები და გლეხი ქალები წყობილებაში ჩადგენ, იგრიალა მუსიკამ და ყველანი ლეგიონისკენ გამოეშურა. გაიმართა ვახშამი, რის შემდეგ სტუმრები სიმღერით გაეშურენ სახლისაკენ.

**მამალაძე.**

## ჩვენი ბანაკი

**სამხედრო სკოლა**

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს მეთაურთა სკოლის საზაფხულო ბანაკი. გაშლილ ველში ჩამწკრივებულია თეთრი კარვები, რომელთა გვერდით მუდმივ მეცადინეობა და მუშაობაა გამართული. ამოქმედებულია მთელი სკოლა. იმეორებენ ზამთრის განმავლობაში თეორიულად გავლილ საგნებს პრაქტიკაში, ვარჯიშობენ და იწვრთნებიან. არა ნაკლებ საინტერესო და მშვენიერი სანახავია ბანაკში დასვენების დრო. კურსანტების მთელი შემადგენლობა სხვადსხვა საქმიანობაში ებმება ამ საათებში. ვისაც რა სურს იმას აკეთებს.

ზოგი მიეშურება ლენინის კარვებისაკენ ახალი ჟურნალ-გაზეთების საკითხავად, ზოგნი სწერენ კორესპონდენციებს კედლის გაზეთებისა და გაზ. „წითელ არმიელისათვის“.

ზოგიერთები იყოფიან ჯგუფებათ და ვარჯიშობენ. ნახევრად გატიტვლებული ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ფეხბურთსა და სიგრძე, სიგანეზე და სხვადსხვა სახის ხტომებში.

აქვე საზაფხულო სცენაზე თითქმის ყოველთვის მიდის რეპეტიციები. ხშირად ამზადებენ თვით კურსანტების მიერ დაწერილ პიესებს.

შესრულდება თუ არა ოთხი საათი იწყება პოლიტმეცადინეობა· შემდეგ ვახშამი და ამის შემდეგ ისევ იწყება თავისუფალი საათები, რომელსაც უმთავრესად იყენებენ ტანთვარჯიშისათვის.

შეღამებისას ბანაკის არე-მარეს ეფინება კურსანტების ტკბილი სიმღერა. მღერიან გურულ-მეგრულ კახურ და სხვა სიმღერებს. კარგა ხანს გრძელდება ასეთი მდგომარეობა ბანაკში, რის შემდეგ სდგება ძილის დრო.

მორიგეებისა და მედღეურების მზვერავი თვალები მზრუნველობით დაჰყურებენ თავს მთვარის სხივებში მობანავე თეთრ კარვებს. ღამის სიჩუმე ედება კარვებსაც და ასე გრძელდება დილის საყვირამდე, რომელიც ისევ ახმაურებს კარვებს.

**ა—ლი**

## ჩვენი პრაქტიკული საქმიანობიდან.

**1-ლი მესანგრე ასეული**

სამხედრო სპეციალურ დარგში ჩვენი საბანაკო საქმიანობა წარმატებით მიმდინარეობს. უფშემადგენლობა დიდი ენერგიულობით ეკიდება წითელ არმიელებთან მეცადინეობას. უკანასკნელ ხანებში მთელი ასეული შეუდგა ველში პრაქტიკული მუშაობის წარმოებას. ნაწილი დაყოფილია ჯგუფებათ.

10 ივლისს გვეწვია არმიის საი-



მესანგრეები პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ნჟენერო ნაწილების ინსპექტორი, რომელიც ძლიერ კმაყოფილი დარჩა ნაწილის მომზადებითა და მუშაობით. მისი თანდასწრებით შესრულებული იქნა რამოდენიმე ამოცანა. ინსპექტორი თითქმის ერთი კვირა დარჩა ნაწილში და დაწვრილებით გაეცნო ჩვენს საქმიანობას.

ინსპექტორისა და ნაწილის ხელმძღვანელთა თაოსნობით წითელ არმიელებმა ააგეს ექვსი საათის განმავლობაში დაკიდებული ჩარჩოიანი ხიდი. შემხამებელ ჯგუფის წითელ არმიელებმა კი დაამზადეს ხიდის მარცხენა მხარეზე სანგრები და შამოავლეს მავთულბადე. ყველა ეს ამოცანები იშვიათი სისწრაფითა და ცოდნით იქნა შესრულებული, რის გამო დიდი მადლობა გადაუხადეს წითელ არმიელებს ხელმძღვანელებმა.

**ვ. შარვაშიძე.**

## მცირე მანევრებზე

**მე-2 ლეგიონი.**

14 ივლისს ლეგიონმა ჩაატარა მცირე მანევრები, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ 2 და 3 ათასეულები. დილის 7 საათისათვის ორივე ათასეულები გამოყვანილი იქნენ ხაზზე საომარი საჭურველით, რომლებიც გაეშურენ ბანაკიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. ღამით შევჩერდით სოფ. გარე ჯვარში, სადაც წინდაწინ გაგზავნილ ამხანაგებს მოეწვიათ ადგილობრივი გლეხები და გვიცდიდენ.

მისვლისთანავე დაიყვენ ამხანაგები ჯგუფებათ და გავაჩაღეთ გლეხებში საუბრები სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე. გლეხები ყურადღებით გვისმენდენ და იძლეოდენ შეკითხვებს მრავლად.

საუბრების გათავების შემდეგ გავმართეთ უფასო წარმოდგენა. გლეხები აქაც მრავლად იყვენ მოსული თავისი ოჯახებით.

წარმოდგენა კარგად იქნა ჩატარებული. გლეხებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

სოფელი ძლიერ ჩამორჩენილია კულტურულად. არა აქვთ სკოლა, არც სამკითხველო. სუსტად არის დაყენებული აგრეთვე პარტიული მუშაობა. სულ ითვლება 30 კომკავშირელი.

მეორე დღეს ათასეული გადვიდა შეტევაზე. ყველა ამოცანები წარმატებით იქნა შესრულებული და მოქმედება დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. უფროსმა ამის გამო მადლობა გამოუცხადა მთელ შემადგენლობას. მანევრების დროს შევსძელით აგრეთვე კედლის გაზეთის გამოშვებაც.

**შ. აზიკუროვი.**

## ვანათლებთ და ვასამხედროებთ სოფელს.

**სამხ. პოლიტ სკოლა.**

საღამო ჟამია. ჯერ კიდევ მზე საწკეპლის მთას დაჰყურებს. პოლიტ-სკოლის კურსანტები მოკრივილან ჯგუფ-ჯგუფათ საამურათ გადაშლილ მწვანე მინდორზე, რომელსაც ზევიდან დაჰყურებს უზარმაზარი ფიჭვის ხის ჩრდილო. აქვე წამოხტა ერთი კურსანტი და გადასძახა იქვე მჯდომ ამხანაგებს: ამხანაგებო! ხვალ კვირაა, ბუნებაც აქედანვე ისეთ იმედს იძლევა, რომ კარგი დარი იქნება, ვიმეცადინოთ დღეს და მომზადებულნი წავიდეთ სოფლებში გლეხობასთან სასაუბროდ.

— მართლაც გიორგი!, რომ მართალს ამბობ! ხვალისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ...

გათენდა კვირა დილა.

რამდენიმე კურსანტი შეუდგა მზადებას, რათა დროზე წასულიყვენ იმ სოფლებში, სადაც 10 15 ვერსი გზა უნდა გაევლოთ.

კურსანტების ერთი ჯგუფი გაეშურა თავისი დრამწრით № სოფლისაკენ. სოფელში წინადღით გაგზავნილია აფიშები, ყველამ იცის, რომ კვირა საღამოს წარმოდგენა უნდა წავიდეს. ბევრ ახალგაზრდა ქალვაჟს სიხარულით გრძნობები ასთამაშებოდა და სოფლის განაპირა გზაზედ გამოიყურებოდენ, თუ რა დროს მივიდოდით. მალე მიუახლოვდით სოფელს, მოგვესმის დოლი-სალამურის ხმაური..·

იმართება ცეკვა თამაში.

იქვე მაღლობზე ზარების რეკა მოისმის. ეს ხავს მოდებული ეკლესიის კედლები უხმობს მრევლს, მაგრამ სალოცავად მომავალს ვერავის ხედავ. მიუხედავათ იმისა, რომ გლეხები ძლიერ მორწმუნენი არიან, იმ დროს ყველანი ასე გაიძახოდა: ამაზე უკეთესს ეკლესიაში რას ვნახავთო. შარშან, რომ ერთი ქალი ეზოს ღობიდან იყურებოდა სახე აწვეული, დღეს მან ჩვენი კურსანტი გამოიწვია სათამაშოდ.

ასე გრძელდებოდა თამაში, რამოდენიმე ხანს, მაგრამ მალე გაისმა ხმა—კრებაზეო. ყველანი დაიშალა და გაეშურა დანიშნულ ადგილისაკენ. იქვე ერთი ლექტორი კურსანტებისა შემდგარა ქვაზედ და გაისმის ხმა, ხმა წით. ჯარის მნიშვნელობაზედ, რომელიც უხსნიდა გლეხებს, თუ როგორია დღევანდელი წით. ჯარი, და რა დახმარებას უწევენ ისინი გლეხობას. მალე გაათავა ორატორმა თავისი მოხსენება, რის შემდეგ გაისმა მხურვალე ტაში.

ახლოს ხალხის გვერდით გაიმართა პოლიტანკესი სხვა და სხვა საუკეთესო საჩუქრებით.

აგერ გამორბის ერთი მოხუცებული და მეტათ მხიარული ქალი, რომელსაც ილბლათ შემდეგი შესაფერისი საკითხი შეხვდა:—შეიძლებოდა თუ არა მენშევიკების დროს მშრომელი ქალები ყოფილიყვენ არჩეული საზოგადო საქმეში?

მოხუცებული ხმა მაღლათ უპასუხებს: ძველ დროში მშრომელ ქალებს არჩევის უფლება არ ქონდათ და დღეს კი ყველა ქალები მამაკაცების უფლებებით სარგებლობენო. მოხუცმა საჩუქრათ მიიღო ერთი გირვანქა საპონი და ერთი კარკი სარკე. პოლიტ-ანკესის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც დაესწრენ აუარებელი მოხუცი და ახალგაზრდა ვაჟები და ქალები. წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. გლეხები დიდათ მხიარული დარჩენ და სათითაოდ მადლობას უხდიდენ ჩვენი კლუბის უფროსს და კურსანტებს, ჩვენც საერთო სალამით ვემშვიდობებოდით ყველას.

**მიხო საწირელი.**

# ჩვენი ჯგუფური მეცადინეობა

**მე-3 ლეგიონი.**

ბანაკში გასვლისთანავე ჩვენი სკოლის შემადგენლობა დაყოფილი იქნა კურსანტების ცოდნისდამიხედვით სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მოექცენ საშვალო სასწავლებლებ დამთავრებულები, მეორეში 4 კლასის და მესამეში მცირე მცოდნენი. ამისდამიხედვით დაიწყო თითეულ ჯგუფებთან მეცადინეობა.

მეცადინეობა სწარმოებს განუწყვეტლივ. პოლიტ-ცოდნის შესასწავლად პირველ ჯგუფთან მეცადინეობა მიმდინარეობს ორ დღეში ერთხელ თითო საათით. სამხედრო საქმისათვის კი მათ დიდი დრო აქვთ დათმობილი, რომ შესძლონ საშვალო მეთაურის სახელწოდებაზე გამოცდების ჩაბარება ერთი წლის თავზე. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათთან მეცადინეობას.

ამჟამად უმთავრესად პრაქტიკული ხასიათის მუშაობას ვაწარმოებთ. გავდივარ სხვა და სხვა ხასიათის ტაქტიკური ამოცანებისა და სროლების შესასრულებლად. ტაქტიკური მეცადინეობა ტარდება ღამითაც.

სროლებს ვატარებთ როგორც შაშხანიდან, ისე მძიმე და მსუბუქი ტყვიამფრქვევებიდან.

**კ. როყუა.**

# ამბები ნაწილებიდან

## სამხედრო წრის მუშაობა.

1-ლი ლეგიონის სკოლაში დაარსებულია სამხედრო წრე, რომლის მუშაობა მეტად გაუმჯობესდა საბანაკო პერიოდში. წრეს დიდი ყურადღებით ეკიდებიან ნაწილის უფროსი მეთაურები. ხშირად იმყოფებიან იქ და ატარებენ სათანადო საუბრებს. წითელ არმიელებიც გულმოდგინეთ ესწრებიან წრეში წარმოებულ საუბრებს.

**ვ. მშვენიერიძე.**

## ექსკურსია მუზეუმში.

მე-3 ლეგიონის ყაზარმაში დარჩენილი სადარაჯო ნაწილმა 17 ივლის ინახულა ადგილობრივი მუზეუმი. მუზეუმის გამგეობამ ყურადღებით მიიღო ნაწილი და შესაფერი ახსნა განმარტებებს იძლეოდა ყველა ისტორიულ ნაშთებისა და სიძველეების შესახებ. წითელ არმიელებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსიამ და მადლობა გამოუცხადეს იქვე მუზეუმის გამგეობას თბილი მიღებისათვის.

**მ. ჩიხრაძე.**

## ბირთვების მუშაობა.

მე-2 ლეგ. 8 ასეულის ლენინის კუთხეში ყოველ საღამოობით სწარმოებს მეცადინეობა სხვადასხვა ბირთვებში. მოლაშქრეები გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას. სწარმოებს ხშირად ხმა-მაღალი კითხვა და მცოდნე ჯგუფები შესაფერ ახსნა-განმარტებას აძლევენ უცოდინარ წითელ არმიელებს სხვადასხვა საკითხების შესახებ.

**გოზლაშვილი.**

## თვითმოქმედების საღამო.

მე-6 ლეგიონის კლუბში 1-ლი ასეულის ძალებით გაიმართა თვითმოქმედების საღამო. წითელ არმიელები გამოვიდენ საზოგადოების წინაშე საკუთარი ლექსებით, კუპლეტებით და სცენებით. დადგმული იქნა მათივე ძალებით ორი მხიარული ვოდევილი. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე ტფილისის კინტოს ტანსაცმელში და მოხდენილი კუპლეტებით ამხ. არტიელმა. ერთი ცვალებადელის მიერ შესრულებული იქნა ხალხური მელოდიები ჩონგურზე. იყო მოსიმღერეთა გუნდიც. და ბოლოს ცეკვა თამაშიც პიანურისა და დოლის აკომპონიმენტის ქვეშ. საღამო დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული.

**იოსები.**

# სამხედრო ქრონიკა

## ახალი სამსახურის ვადის შესახებ.

ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა შესცვალოს სავალდებულო სამსახურის შესახებ კანონის 37-ტე მუხლი; ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადიდან გამორიცხულ უნდა იქნეს, სამხედრო მოსამსახურეების მიერ ნაწილიდან გაპარვის და სასამართლოს მიერ მისჯილი ადგილზე თავისუფლების აღკვეცაში გატარებული დრო.

ეს დრო მოსამსახურეებს არ ჩაეთვლებათ სამსახურის ვადაში, რომელიც აღიდებს სამსახურის ვადას იმდენით, რამდენიც გაატარა ამა თუ იმ სამხედრო მსახურმა ნაწილიდან გაპარვის ან სასამართლოს მიერ მისჯილ სასჯელის მოხდაში.

# ახალი ავიაციაში.

## სამგზავრო დიდი მფრინავი ნავის გეგმა.

ესპანელ მფრინავის რ. ფრანკოს წარმატებითი გადაფრენამ ესპანეთიდან არგენტინაში (ატლანტიკის ოკეანით) ჰიდრო-აეროპლანით, მიიყვანა დორნირის ფირმა გადაწყვეტილებამდი დაიწყოს უზარმაზარი მფრინავი ნავების აგება. განზრახულია ააგონ ახალი ჰაეროპლანები, რომლების მოტორთა საერთო ძალა უნდა უდრიდეს 3 ათას ცხენის ძალას. დამახასიათებელი თვისება გიგანტურ მფრინავ ნავებისა ისაა, რომ მათ სრულიად შეურყევლედ შეუძლიათ იმოძრაონ ძლიერ აღელვებულ ოკეანის ტალღებზე. მგზავრებისთვის გათვალისწინებულია სრული და კარგად მოწყობილი კუპეების აგება.

## ევერესტის მწვერვალზე ჰაეროპლანით.

დღემდის ჯერ კიდევ არ დაუდგამს ფეხი ადამიანს ევერესტის მწვერვალზე (შუა აზიაშია), რომელიც სდგას 8.840 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან და თითქმის მუდამ ღრუბლით და ნისლითაა დაბურვილი. საფრანგეთის ცნობილი მფრინავი, კოლიზო, რომელმაც გასულ წელს ყველაზე უფრო მაღლა აფრინდა (12.065 მ.), ფიქრობს ამჟამად მოაწყოს გაფრენა ჰაეროპლანით ევერესტზე. კოლიზოს არ აქვს განზრახვა ევერესტის მწვერვალზე დაეშვას. ის გადაიღებს მხოლოდ რამოდენიმე ფოტოგრაფიულ სურათს და ჩამოუშვებს მწვერვალზე საფრანგეთის ფლაგს. ამ მიზნისთვის მფრინავს თან გაჰყვება კინო ოპერატორი.

## საძილე ჰაეროპლანი

ამ დღეებში გერმანიაში გამოშვებულ იქნა 10 ადგილიანი საძინებელი ჰაეროპლანი, რომელიც იმუშავებს ღამით ბერლინსა და მოსკოვს შუა.

ეს ჰაეროპლანი ფაქტიურად წარმოადგენს პირველ მფრინავს „საძინებელ ვაგონს“ მთელს ქვეყანაზე.

## ჰაეროპლანების დაღუპვა

საფრანგეთში, სტრასბურგის ჰაეროდრომზე დაეჯახა ერთმანეთს ორი ჰაეროპლანი—1200 მეტრის სიმაღლეზე. ერთი აპარატი იქვე დაიმსხვრა, ხოლო მეორე მიწაზე დაეცა ცეცხლ მოდებული. აპარატზე მყოფნი ერთიანად დაიღუპა.

# პასუხი შეკითხვებზე

— ყოფ. მასწავლებელს. საშუალო და უმაღლეს სასწავლებელ გათავებულნი გაწვევის დროს ოჯახურ შეღავათებით არ სარგებლობენ.

— საჯაიას. ასეთი ბრძანება ჯერჯერობით არ არის.

— მასვე. ამა წლის შემოდგომაზე გაიწვევენ 1904 წ. დაბადებულებთ.

— ბოხუას. ჯარში გაწვევის შემდეგ ოჯახში მომხდარი ცვლილება არ განთავისუფლებთ. მასთან ცვალებად ნაწილში არ იქნებით გადარიცხული, რადგან ოჯახში არის შრომის უნარიანი—თქვენი და.

— ერმილე ჩხეიძეს. თქვენი ძმის შესახებ უნდა გაგზავნოთ განცხადება ფრონტზე დაკარგულთა სააღრიცხვო ბიუროს სახელზე (Ленинград Надеждинская ул., № 10) განცხადებაში უნდა აღნიშნოთ შემდეგი: 1. ძმის გვარი, სახელი და მამის სახელი, 2. რომელ ნაწილში მსახურებდა, პოლკის სახელწოდება, 3. რა თანამდებობაზე იყო, 4. რომელ გუბერნიიდან იყო, მაზრა და სოფელი, 5. დაბადების წელი, 6. რა დროიდან არ გაქვთ მისგან ცნობა (წელიწადი, თვე და რიცხვი) და 7. საიდან გქონდათ უკანასკნელი ცნობა (სამხედრო ნაწილიდან, საავადმყოფოდან, ტყვეობიდან).

— გრძელიძეს. შეუძლებელია ერთდა იმავე დროს ყველანი ერთად გაანთავისუფლონ. განთავისუფლება მოხდება ისე, როგორც შარშან.

— ხეჩიაშვილს. ტრაქტორების კურსების შესახებ უნდა მიმართოდ მიწათმოქმედების კომისარიატის სააგრანომიო განყოფილებას.

— მურაჩაშვილს. თუ თავისუფალი ადგილი იქნა პირველ რიგში უნდა მიგიღონ სამსახურში.

— გეგეჭკორს. წაიკითხეთ ხეჩიაშვილის პასუხი.

— ძულიაშვილს. უვადო შვებულებაში წასვლის დროს მოგეცემათ მაზარა.

— №-ს. ამ თანამდებობაზე თქვენ ბრძანებით არ იყავით დანიშნული, დროებით იყავით, ამიტომ, როგორც წ. არმიელს, ზედმეტი ჯამიგირი არ გეკუთვნით.

— სახნიაშვილს. ფეხსაცმელები მოგეცემათ, ან შეგიკეთებენ ძველებს, რომ ხმარებისთვის ვარგისი იყოს.

— მურაჩაშვილს. უნდა გამოაცხადოთ გაზეთში ნაპოვნი დურბინდის შესახებ.

— ელბაქიძეს. ჯამაგირო გეკუთვნით, მაზარა კი ტარების ვადის გასვლის შემდეგ.

— არავიაშვილს. კაპელმეისტერის სკოლა არსებობს მოსკოვის აშენბრენერის სახელობის ქვეითი სკოლასთან.

# ჩვენი ფოსტა

პ. კახიძეს—(ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია სამზადისის შესახებ, ყველაზედ ნაკლებად ლაპარაკობს სამზადისზე. საჭიროა აღინიშნოს თუ რა კეთდება და როგორ ემზადება ნაწილი ამ მოვლენისათვის.

ე. ჩარკვიანს—(პოლიტსკოლა) კორესპონდენცია პარტუჯრედების შესახებ მეტის-მეტად დაგვიანებულია. არ გადის.

მანჭარაულს—(2-რე ლეგ.) კორესპონდენცია ლეგიონის მუშაობის შესახებ არ გადის. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ღულუნს—(5 ლეგ.) წერილი მოგვაქციეთ ყურადღება—გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

მშვენიერიძეს—(1-ლი ლეგ.) წერილი დეზერტირების გასამართლების შესახებ ერთხელ იყო ჩვენს გაზეთში. ხელმეორეთ არ დაიბეჭდება.

ლ. ნ-ს—(1-ლი საკავშირო) კორესპონდენცია—საჭიროა მოვემზადოთ არ გადის. წერილში არაფერი არ არის ნათქვამი.

ჰანაყოულელს—თქვენი წერილები გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის. არ გადის.

გრიგოლს—თქვენი წერილიც ისეთ წვრილმან და ადგილობრივ მნიშვნელობის საკითხს ეხება, რომ უფრო კედლის გაზეთისათვის გამოდგება.

სიდამონიძეს—თქვენი წერილი გაუგებრად არის დაწერილი. ამის გარდა საჭიროა სწეროთ ქაღალდის ერთ გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილი არ დაიბეჭდება.

ცისკარაძეს—თქვენი კორესპონდენცია გაუგებარია. სწერეთ გარკვევით.

ბუჯიაშვილს—სწერეთ ერთ გვერდზე. ეს კორესპონდენცია არ გადის.

პ. კახიძეს—წერილი პარტიული კრების შესახებ არ გადის. არაფერია შიგ ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა კონკრეტიული ღონისძიებანი და დადგენილებები იქნა გამოტანილი. საჭიროა ცოცხალი მასალა და არა მშრალი ანგარიში.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებული მეთაურთა სკოლის 2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კ. პ. კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ხურცია ვლადიმერ ვასილისძეს, 2) მახარაძე ტარასი პორფილესძეს, 3) ბეჟანიძე ხუსიენ მურადისძეს, 4) კვიკვიძე ამბროსი ევგენისძეს, 5) ბაჯელიძე ასლან უსიპისძეს, 6) ვერულიძე ახმეტ ქემალისძეს, 7) შარაბიძე ახმეტ ოსმანისძეს, 8) გიორგაძე იუსტინე ფილიპესძეს და 9) ზურაბიანი ვლადიმერ კოსტანტინესძეს.

თუ ვინმემ რაიმე იცით ამხანაგების უარყოფითი მხარეები, გთხოვთ გვაცნობოთ ზემოთ-აღნიშნულ უჯრედში ათი დღის განმავლობაში.

---

ქართ. ცხენ-ლეგიონის მე-2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატად მიღების შესახებ:

1) პეტრე გერმანიშვილს (უპარტიო შორაპნის მაზ. სოფ. მოხვა) 2) ბზიკაძე ნოეს (უპარტიო ქუთ. მაზრა სოფ. თერნალი) 3) ვაშაკიძე ვლადიმერ (ახ. კ. კავ. წევრი ქუთაისის მაზ. სამტრედიის რაიონი სოფ. დიდიჯიხაიში), 4) ჭლიკაძე შალვა ისმაილისძეს (კომ. პარტ. კანდიდატი ქუთაისის მაზრა სოფ. ციხიაში).

თუ ვინმეს რაიმე აქვს ამ ამხანაგებზე საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ხსენებულ უჯრედში.

---

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) ლომინაძე გიორგის და 2) გუჩმაზოვ ლევანს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

# უცხოეთის არმიებში

## რა უჯდება პოლონეთს თვითეული ჯარისკაცის შენახვა

აპრილის ბოლოს პოლონეთის გენერალმა მალჩევსკიმ მოიყვანა ციფრები პოლონეთის არმიის მდგომარეობისა და მოსახლეობის გასამხედროების შესახებ.

მიმდინარე წელში 1-ლ ივლისიდან 1-ლ საკორპუსო ოლქში ეწყობა 1.000 საზაფხულო ბანაკი 6 კვირიანი კურსებით, სადაც უნდა მოამზადონ სამხედრო საქმეში საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ერთი ჯარისკაცის შენახვა მალჩევსკის გამოანგარიშებით ჯდება 12 მანეთი და 23 კაპიკი. ამ ფულიდან 7 მ. და 9 კაპიკი მიდის საჭმელზე, 3 მ. და 36 კაპიკი ტანსაცმელზე, 1 მ. და 26 კ. ბინაზე და 52 კაპიკი—ჯამაგირზე.

## შეტევის წესი საფრანგეთის არმიაში

საფრანგეთის არმიაში მეომრის მომზადების დროს მთავარი ყურადღება ექცევა სროლის საქმეს. თოფისცეცხლი და განსაკუთრებით ტყვიამფრქვევის თანამედროვე ბრძოლის საფუძველია. წინ მიიწევენ არა იმისთვის, რომ იერიშზე ეკვეთონ, არამედ იმისთვის, რათა გააუმჯობესონ და გააძლიერონ ცეცხლი.

და მხოლოდ მაშინ, როცა ტყვიამფრქვევები მიტანილია მტერთან ახლო მანძილზე და იწვევენ მის რიგებში არევ-დარევასა და სრულ რღვევას, მხოლოდ მაშინ მიდიან მსროლელები წინ და ხელში იგდებენ ტყვეებს.

თუ მტრის რიგებში არევდარევა არაა შეტანილი, იერიშზე გადასვლა გამონაკლის შემთხვევაში სწარმოებს. ტყვიამფრქვევები არას დროს არ ისვრიან ცალკე მიზნებზე და არ ელოდებიან ამ მიზნების გამოჩენას. ცეცხლი სწარმოებს მთელს უბანზე, მოედანზე; მასთან, რაკი ცეცხლი ერთხელ გაიხსნა, აუცილებელია არ იქნეს შესუსტებული და შეწყვეტილი ბრძოლის გათავებამდი. არ უნდა იქნას დაგვიანებული ცეცხლის გახსნა; უმჯობესია გახსნილ იქნას ცეცხლი რამოდენიმედ ადრე, ვიდრე ცოტათი დაგვიანებით.

## ახალი ავტომატიური თოფი ჩეხო სლოვაკიაში.

ჩეხიაში, სკოპლოს იარაღის ქარხანაში გაკეთებულ იქნა ახალი ავტომატიური თოფი. სანიმუშო ცდებმა საუკეთესო შედეგები მოიტანა. სამხედრო სპეციალისტების აზრით ეს ახალი თოფი გაცილებით მაღლა დგას უკანასკნელ დრომდი გამოსულ თოფებზე და დიდ მნიშვნელობას მიაწერენ მას.

თოფი ისვრის წუთში 250-300 ტყვიას. სიმარჯვისა და საბრძოლო თვისების მხრივ ის არ ჩამორჩება შაშხანას. მეტად საინტერესოდაა გადაჭრილი ლულის გაციების საკითხი. ლულის გაციება ხდება ჰაერის საშუალებით (ლულის მილებში), სადაც დგუშის როლს საკეტი ასრულებს.

## სამხედრო არსენალის აფეთქება ამერიკაში

**ამ დღეებში გაზეთებში იყო ცნობები ლეიკდენმარკეში (ამერიკაში), საზღვაო არსენალში მომხდარ აფეთქების შესახებ. ამ საშინელ უბედურების შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემდეგია:**

მგზავრებმა, რომლებიც მიდიოდენ არსენალის გვერდით მიმავალ გზაზე, დაინახეს, თუ როგორ გამოვარდა მეზღვაური ცეცხლის საქრობ მილით და დაიწყო წყლის მიშვება იმ ადგილზე, საიდანაც გამოდიოდა კვამლი. დაინახა თუ არა ავტომობილით მგზავრები, მეზღვაურმა დაუძახა მათ: „ჩქარა გაიარეთ, თორემ მალე აქაურობის ნატამალიც არ დარჩება“-ო. ცოტა ხანში გაისმა შემაძრწუნებელი გრიალი—დედამიწა შეარხია და უზარმაზარი ალი ცაში ავარდა. აფეთქებას მოყვა აფეთქება. ახლომახლო სოფელში ზედი-ზედ დაინგრა სახლები. სოფ. მაუნტხოპში, არსენალიდან ვერს ნახევარზე, მეტად საგრძნობი იყო მიწის ქვეშიდან ბიძგები.

პირველად აფეთქდა სამი საწყობი, რომლებშიაც გაჩნდა უზარმაზარი ცეცხლის ყელები. ამას მოჰყვა სხვა საწყობების აფეთქება, რომლებშიაც ინახებოდა 700 ათასი გირვანქა შავი დენთი. კვამლის უზარმაზარ ღრუბლებმა დაჰფარეს სივრცე 20-ზე მეტი ვერსის რადიუსით. ცეცხლმოდებულ ნამტვრევების წვიმა მოდიოდა აფეთქების ადგილიდან დიდ მანძილზე, რის გამო ცეცხლი გაუჩნდა არმიის დიდ საამუნიცო საწყობებს, რომლებიც მოთავსებული იყო ბიკეტინში, 3 ვერსზე არსენალიდან, სადაც აფეთქდა თავისმხრივ ყუმბარები და ბომბები. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლები გარბოდენ. აფეთქება გრძელდებოდა რამოდენიმე საათი.

მსხვერპლთა რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. აფეთქების მომენტში არსენალში იმყოფებოდა 60-მდი მეზღვაური, ვინაიდან სამუშაო დღე გასული იყო. დღემდის ახლო საავადმყოფოებში მიყვანილია 150 დაზიანებული. ზარალი წინასწარი გამოანგარიშებით უდრის 160 მილიონ მანეთს.

ნ. დ. ს. ჯ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.